

შპს „ნანო სტილი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

CONTENTS

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)	134
მმართველობის ანგარიში	134

შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 წელი	2021 წელი
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	1362572	806223
სავაჭრო მოთხოვნები	95050	371080
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	430762	229975
სხვა მიმდინარე აქტივი	6205	1205
სულ მიმდინარე აქტივები	1894589	1408483
გრძელვადიანი აქტივები		
მიწა	332926	99926
შენობა ნაგებობა	60870	64074
სატრანსპორტო საშუალება	129054	47938
სხვა აღჭურვილობა	86599	89005
არამატერიალური აქტივი	1266	1332
სულ გრძელვადიანი აქტივები	610715	302275
სულ აქტივები	2505304	1710758
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	24591	61125
სხვა ვალდებულებები ავანსები	41140	31139
სულ მიმდინარე ვალდებულება	65731	92264
გრძელვადიანი ვალდებულება		
სასესხო ვალდებულება	0	100000
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	0	100000
სულ ვალდებულება	65731	192264
საკუთარი კაპიტალი		
შპს კაპიტალი	2000	230815
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2437573	1287679
სულ კაპიტალი	2439573	1518494
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2505304	1710758

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 18 აგვისტოს:

დირექტორი

/ვარლამ შველიძე/

მთ. ბუღალტერი

/თამარ ცუცქერიძე/

შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი/პერიოდი	2022 წელი	2021 წელი
წმინდაგაყიდვები	33797	68717
ხელშეკრულებებიდან	2687619	718650
თვითღირებულებით	-413203	-331615
საწყისი სასაქონლო მარაგი	229973	367486
შემენილი სასაქონლო მარაგი	854982	299924
საბოლოო სასაქონლო მარაგი	430762	229973
საერთო მოგება	<u>2308213</u>	<u>455752</u>
საერთო დადმინისტრაციული ხარჯი		
შრომის ანაზღაურება	-1667283	-952933
საოფისე ქირა		-
კომუნალური კომუნიკაციის ხარჯები		
იჯარა	-1906	-3350
პროცენტის ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	-31365	-32916
სხვა საერთო ხარჯები	-224382	-356630
სულ	<u>1924936</u>	<u>-1345829</u>
არასაოპერაციო შემოსავალი		
არასაოპერაციო შემოსავალი	767839	727632
სულ	<u>767839</u>	<u>727632</u>
არასაოპერაციო ხარჯი		
არასაოპერაციო ხარჯი	-3222	-35854
სულ	<u>-3222</u>	<u>-35854</u>
მოგება და ბეგვრამდე	<u>1147894</u>	<u>-198299</u>
მოგების გადასახადი	0	-18576
წმინდა მოგება	<u>1147894</u>	<u>-216875</u>
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი წლის დასაწყისში	1518494	1287679
დივიდენდი		-105263
კაპიტალის ცვლილება		
საწესდებო კაპიტალი	-226815	230815
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო	<u>2439573</u>	<u>1518494</u>


წარმოდგენილი სრული შემოსავლების ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 18 აგვისტო:

დირექტორი

/ვარლამ შველიძე/

მთ. ბუღალტერი

/თამარ ცუცქერიძე/



შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	613363	838105	1451468
მოგება / (ზარალი)	-	838105	1451468
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-		
სხვა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1451468	67026	1518494
მოგება / (ზარალი)	-	67026	1518494
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	-	-
სხვა	-	-	-
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1518494	921079	2439573
მოგება / (ზარალი)	-	921079	2439573
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-		
სხვა	-	-	-

წარმოდგენილი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 18 აგვისტო:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



/ვარლამ შველიძე /

/თამარ ცუცქერიძე/

შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1 შპს „ნანო სტილი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2008 წლის 30 იანვარს აპრილს, რეგისტრაციის B18167452
- 1.2 საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 1.3 საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონი წერეთლის გამზ. 93
- 1.4 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სარემონტო საამშენებლო საქმიანობა და ასევე მასთან დაკავშირებული მომსახურებები. ასევე საამშენებლო მასალების რეალიზაცია.
- 1.5 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;
- 1.6 საწარმოს არ გააჩნია ფილიალი.
- 1.7 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ნანო სტილი“ რეგისტრირებულია ორივე მიმართულებით.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

- 2.1 კომპანიის ეკონომიკური სამიქნობა პირდაპირ დამოკიდებულია მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ განვითარებასთან. საქართველოს ბაზარზე ზოგადად დიდი კონკურენციაა აღნიშნულ სფეროში, მაგრამ კომპანია წარმატებით ართმევდა თავს, დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებით.
- 2.2 მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს კომპანიის გრძელვადიანი ეკონომიკურ დაგეგმარებაში. საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.

2 მნიშვნელოვანი მოვლენები:

- 2.1 საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავდა რამოდენიმე ლოკაციას კერძოდ სადაც აწარმოებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნულ სფეროსი მძაფრი კონკურენციაა რასაც საწარმო უმკლავდება მარკეტინგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზების ხარჯზე.
- 2.2 როგორც მოგეხსენებათ სარემონტო და საამშენებლო ბიზნესი სწრაფად მზარდი საქმიანობაა.
- 2.3 საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი და ნაკლებად დაზარალებს კონკურენციის პირობებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- 3.1 საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;
- 3.2 მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.
- 3.3 საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და `ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ` საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
- 3.4 მსს ფასს სტანდარტზე` გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.
- 3.5 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.
- 3.6 საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის

შესაბამისად;

3.7 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

4 განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

4.1 ფულადი სახსრები:

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალკე, პირდაპირი მეთოდით

ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
ნაღდი ფული საღაროში	733	68011	79858
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	131276	538440	115093
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1230563	201772	200685
	<u>1362572</u>	<u>806223</u>	<u>395636</u>

4.2 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

1 აშშ დოლარი - 2.7020

1 ევრო - 2.8844

4.3 შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

4.4 საწარმოს საანგარიშგებო წელს გადახდილი ავანსები ისევ უფიქსირდება 6205 ლარი რაც ასახულია ანგარიშგებაში;

4.5 საწარმოს მიერ განხორციელებული შენატანები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

4.6 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ქონება წარმოდგენილია ძირითად საშუალებებში;

4.7 საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის საინვესტიციო ქონების გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა, რის გამოც საინვესტიციო ქონება ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

5.9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს 229973 ლარს ხოლო წლის ბოლოს 430762 ლარს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილია 854982 ლარის მარაგი. სასაქონლო მარაგი გახარჯულია შესრულებული სამუშაოებისათვის (ფორმა 2-ის მიხედვით) და ასევე გაყიდული საქონლის მიხედვით (ზედნადებებით) საქონელი ჩამოწერილია თვითღირებულებით.

5.10 დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

5.11 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.12 ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით/ბარათით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები/ბარათები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

5.13 საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია

5.14. ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა და ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი

აქტივების ღირებულება მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად შეტანილია პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

შენობა ნაგებობები - 50 წელი

კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა - 3 წელი

საოფისე აღჭურვილობა - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი

სხვა აქტივები - 5 წელი

5.19. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში ერიცხება არამატერიალური აქტივები, სპეციალური პროგრამა რომლის ისტორიული ღირებულება შეადგენს 1332 ლარს, ამორტიზაცია -66 ლარს. ხოლო ნარჩენი ღირებულება 1266 ლარს.

5.20. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

კომპანის გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, ბანკის კრედიტი არ გააჩნია.

5.21. მომსახურობიდა წარმოქმნილი მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საწარმოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

5.22 საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ უფიქსირდება გაცემული სესხები.

5.23. მიწოდებიდან და მომსახურობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები:

კომპანიას გააჩნია დებიტორული დავალიანებები რომლებიც ძირითადად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ, კერძოდ კომპანია ახორციელებს საამშენებლო სარემონტო კონტრაქტებს, მოგესხენებათ სანამ არ დასრულდება სამუშაოები კომპანიებს შორის არსებობს მოთხოვნები რაც ასახულია ანგარიშგებაში.

5.24.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას დავალიანება არ უფიქსირდება.

5.24.2. გადასახდელი ხელფასები

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის გადასახდელი ხელფასი არ უფიქსირდება.

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

7 საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა):

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით (ე.წ. „ეკონომური მოდელით“).

დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. საწარმომ ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით.

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან;

7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან;

7.3. საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;

7.4. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

7.5. ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საამშენებლო და სარემონტო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

7.6. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები 2022 წელს არ უფიქსირდება.

7.7. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. დასკვნითი ნაწილი

8.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 18 აგვისტო;

8.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი
12



/ვარლამ შველიძე /

/თამარ ცუცქირიძე /

შპს „ნანო სტილი“ (ს/ნ-202438317)

მმართველობის ანგარიში

ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „ნანო სტილი“ დაფუძნებულია 2008 წლის წლის 30 იანვარს, რეგისტრაციის B18167452

საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის:

ვარლამ შველიძე 18001009430 -100 %

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:~

1.1 შპს-ის „ნანო სტილი“-ს ძირითადი საქმიანობაა: სარემონტო საამშენებლო საქმიანობა და ასევე საამშენებლო მასალების რეალიზაცია.

1.2 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ნანო სტილი“ რეგისტრირებულია ორივე მიმართულებით.

- ორგანიზაციას გააჩნია მხოლოდ ადმინისტრაციული, ფინანსური და დაქირავებული ხელოსნები შესრულებული სამუშაოებისათვის.

1.3 ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არიან პასუხისმგებელი შპს-ს კომერციული მიზნების და ამოცანების განხორციელებაზე.

1.4 ფაქტობრივად საანგარიშგებო პერიოდში საწარმო ძირითადად ახორციელებდა რემონტებს.

2. საწარმოს მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

2.1 ორგანიზაციას არ გააჩნია ფილიალი;

2.2 საწარმოს არ გააჩნია წილები დამატებით სხვა საწარმოებში;

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

3.1 მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს კომპანიის გრძელვადიან ეკონომიკური დაგეგმარებაში. საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.

- 3.2 საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავს სხვადასხვა ლოკაციას, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები. აღნიშნულ სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო უმკლავდება მარკეტინგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის მომსახურეობის შეთავაზების ხარჯზე.
- 3.3 როგორც მოგეხსენებათ საამშენებლო ბიზნესი სწრაფად მზარდი საქმიანობა იყო, ხოლო თბილისში კი დიდი კონკურენცია იყო/არის.
- 3.4 ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მარკეტინგის ღონისძიებებით, ბაზარზე ინარჩუნებდა მოპოვებულ ნიშას. .
- 3.5 საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.
- 3.6 საწარმომ საქართველოს ბაზარზე გააფართოვა ექსკლუზიური მიწოდება. ასევე ხორციელდება სხვა ღონისძიებები ეკონომიკური რისკების თავიდან აცილების მიზნით.
- 3.7 მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო გეგმავდა მსოფლიო ბაზარზე არსებული მზარდი მოთხოვნილებების შესწავლას და მათი საქართველოს ბაზარზე შემოტანას დანერგვას

4. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფა, შიდა კონტროლის პროცედურები:

1. საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას ბუღალტერიის მეშვეობით ახორციელებს ორისის ბუღალტერიაში.
2. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში იგეგმება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის სრულყოფა;

5 შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

1. საწარმოს თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური უნიფორმით, ასევე დამცავი საშუალებებით;
2. შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო საწარმოო პერსონალის;
3. საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

6 მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

6.1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წელში რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 8-ს შეადგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 18 აგვისტოს.

შპს „ნანო სტილი“
დირექტორი



/ვარლამ შველიძე /